სამმხრივი შეთანხმება

(2024 წლის 22 ივლისის სარეკლამო კონსტრუქციის იჯარის ხელშეკრულების თაობაზე)

ქ. თბილისი

01 ოქტომბერი 2024 წ.

ერთის მხრივ, **შპს „ლევანიტა" (ს.ნ. 404591740)** (შემდგომში „მხარე N1"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ნინო ბანძელაძეს (პ.ნ. 62003003619) წარმომადგენლის მიხეილ ხიდირბეგაშვილის (პ.ნ. 01008016737) სახით,

მეორეს მხრივ, **შპს „ნექსუს ჰოლდინგი" (ს.ნ. 405661564)** (შემდგომში „მხარე N2"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - თორნიკე წილოსანის (პ.ნ. 01017037277) სახით და

მესამეს მხრივ, **შპს „ნექსუს ავლაბარი რეზიდენსი" (ს.ნ. 405647929)** (შემდგომში „მხარე N3"), წარმოდგენილი მისი დირექტორის - თორნიკე წილოსანის (პ.ნ. 01017037277) სახით,

ვდებთ წინამდებარე სამმხრივ შეთანხმებას და ვთანხმებით შემდეგზე:

1. მხარე N1 და მხარე N2 ადასტურებენ, რომ მათ შორის N 01.10.17.023.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე განთავსებულ ორმხრივ სარეკლამო ფართან დაკავშირებით 2024 წლის 22 ივლისს დადებულია იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე და პირობების შესაბამისად, მხარე N1 წარმოადგენს „მეიჯარეს" ხოლო მხარე N2 „მოიჯარეს" და მხარე N2 მხარე N1-ს უხდის „საიჯარო ქირას";
2. მხარეები ადასტურებენ, რომ 2024 წლის 01 ოქტომბრიდან მხარე N1-თან შეთანხმებით, წინამდებარე სამმხრივ შეთანხმებაზე ხელმოწერით, მხარე N3 იძენს მხარე N2-ის ყველა იმ უფლება-მოვალეობას, რომელიც მას გააჩნია მხარე N1-სა და მხარე N2-ს შორის გაფორმებული „სარეკლამო კონსტრუქციის იჯარის ხელშეკრულებიდან" გამომდინარე; შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარე N3 ანაცვლებს მხარე N2-ს იჯარის ხელშეკრულებაში და იკავებს „მოიჯარეს" ადგილს;
3. წინამდებარე სამმხრივ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდგომ, მხარეები ადასტურებენ, რომ 2024 წლის 22 ივლისის იჯარის ხელშეკრულების მოქმედება უცვლელი პირობებით გრძელდება მხარე N1-სა და მხარე N3-ს შორის; მხარე N1-სა და მხარე N2-ს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა კი წყდება.
4. მხარეები წინამდებარე შეთანხმებაზე ხელის მოწერით ასევე ადასტურებენ, რომ შეთანხმებაზე ხელმოწერის დროისათვის მხარე N1-სა და მხარე N2-ს ერთმანეთის მიმართ რაიმე სახის პრეტენზია/შენიშვნა არ გააჩნიათ;
5. მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი თანახმა არიან „იჯარის ხელშეკრულების" ფარგლებში არსებული „მხარე N2"-ის ყველა უფლება მოვალეობა (ვალდებულება) გადაეცეს მხარე N3-ს და აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნიათ;
6. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
7. წინამდებარე სამმხრივი შეთანხმება წარმოადგენს 2024 წლის 22 ივლისის იჯარის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, დაერთვის მას და მოქმედებს მასთან ერთად.

8. წინამდებარე სამმხრივი შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი მნიშვნელობის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად და თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

„მხარე N1“ შპს „ლევანიტა“ ს.ნ. 404591740 წარმომადგენელი: მიხეილ ხიდირბეგაშვილი	„მხარე N2“ შპს „ნექსუს ჰოლდინგი“ ს.ნ. 405661564 დირექტორი: თორნიკე წილოსანი	„მხარე N3“ შპს „ნექსუს ავლაბარი რეზიდენსი“ ს.ნ. 405647929 დირექტორი: თორნიკე წილოსანი

ხელშეკრულება სარეკლამო კონსტრუქციის იჯარის შესახებ

N 002-19-2024

ქ. თბილისი **22 ივლისი 2024 წ.**

ერთის მხრივ, **შპს ,,ლევანიტა'' (ს/კ 404591740)** (შემდგომში **,,მეიჯარე''),** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო ბანძელაძის (პ/ნ 62003003619)**, წარმომადგენლის **მიხეილ ხიდირბეგიშვილის (პ/ნ 01008016737)** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ნექსუს ჰოლდინგი“ (ს/კ 405661564)** (შემდგომში **,,მოიჯარე''),** წარმოდგენილი მისი დირექტორის, თორნიკე წილოსანის (პ/ნ 01017037277) სახით (ორივე ერთად **,,მხარეები''**), ვთანხმდებით წინამდებარე ,,ხელშეკრულებაზე სარეკლამო კონსტრუქციის იჯარის შესახებ'' (შემდგომში **,,ხელშეკრულება''** შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, **,,მეიჯარე'' ,,მოიჯარეს''** დროებით სარგებლობაში გადასცემს **,,მეიჯარის''** საკუთრებაში არსებულ ქონებას, რომელიც შემდგომში მოიხსენიება, როგორც **,,იჯარის საგანი''**, ხოლო **,,მოიჯარე'' ,,იჯარის საგნის''** სარგებლობისთვის **,,მეიჯარეს''** ქირის სახით გადაუხდის ხელშეკრულების მე-3 მუხლით განსაზღვრულ თანხას.

1.2. ,,იჯარის საგანს'' წარმოადგენს: რეკლამისთვის განკუთვნილი ორმხრივი ფარი (ჯამში 54 კვ.მ), მდებარე მისამართზე, **ქ. თბილისი, ს. ჩიქოვანის ქუჩა N89-ის მიმდებარედ (სკადასტრო კოდი: 01.10.17.023.018).**

1.3. ,,მოიჯარემ'' წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული **,,იჯარის საგანი''** უნდა გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.

1.4. ,,მეიჯარის'' საკუთრების უფლება დასტურდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ **2020 წლის 5 მარტს** მომზადებული **N882020162179** საჯარო რეესტრის ამონაწერით.

1.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **,,მეიჯარე''** ადასტურებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულების დადების მომენტისთვის საიჯარო ქონება არ არის დაყადაღებული, გაქირავებული (იჯარით გაცემული), გასხვისებული.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. ,,მოიჯარეს'' უფლება აქვს:

2.1.1. მიიღოს **,,იჯარის საგანი''** თავის მფლობელობაში და ისარგებლოს **,,იჯარის საგნით''** ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.1.2. მოითხოვოს **,,მეიჯარისაგან''** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება;

2.1.3. მოახდინოს **,,იჯარის საგნის''** დაცვა/სათანადო მოვლა.

2.2. ,,მოიჯარე'' ვალდებულია:

2.2.1. დროულად გადაიხადოს **,,იჯარის საგნით''** სარგებლობისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირა.

2.2.2. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, მოუაროს **,,იჯარის საგანს''** და ყოველი ღონე იხმაროს იჯარის საგნის იმ მდგომარეობის შესანარჩუნებლად, რაც მას გააჩნდა მოიჯარისთვის გადაცემის დროს, ხოლო ხელშეკრულების ვადის ამოწურვისას დროულად

დაუბრუნოს **,,მეიჯარეს''** იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მისგან მიიღო **,,იჯარის საგნის''** ნორმალური/ბუნებრივი ცვეთის გათვალისწინებით.

2.2.3. მისი ბრალეულობით გამოწვეული პრობლემის წარმოშობისას დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს ის. პრობლემის აღმოსაფხვრელად გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მოიჯარე.

2.2.4. ბანერის მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯებს და არსებობის შემთხვევაში კომუნალური გადასახადების ხარჯებს იხდის მოიჯარე; ასევე, 2.4.3 პუნქტში განსაზღვრული ერთჯერადი მომსახურების გარდა (რომელსაც გასწევს „მეიჯარე“), იჯარის საგანზე სარეკლამო ბანერის განთავსებისთვის სანებართვო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯებს;

2.3. ,,მეიჯარეს'' უფლება აქვს:

2.3.1. მოითხოვოს **,,მოიჯარისაგან''** ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება.

2.4. ,,მეიჯარე'' ვალდებულია:

2.4.1. ,,მოიჯარეს'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო **,,იჯარის საგანი''**.

2.4.1.1. ,,უფლებრივად უნაკლო'' ,,იჯარის საგანი'' გულისხმობს, რომ მესამე პირს არ შეუძლია წამოუყენოს მოთხოვნები მოიჯარეს საიჯარო ქონების მფლობელობასა და სარგებლობაზე.

2.4.1.2. ,,ნივთობრივად უნაკლო'' ,,იჯარის საგანი'' გულისხმობს, რომ საიჯარო ქონება ვარგისია ხელშეკრულებით განსაზღვრული გამოსაყენებელი მიზნისთვის.

2.4.2. არ დაუშვას თავისი ბრალეული მოქმედებით რაიმე ხელისშემშლელი გარემოებების დადგომა.

2.4.3. იჯარის საგანზე სარეკლამო ბანერის განთავსებისთვის, ერთჯერადად უზრუნველყოს სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმება; საჭიროების შემთხვევაში, შემდგომ ეტაპებზე სარეკლამო ბანერის განთავსებისთვის, სანებართვო დოკუმენტაციის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეთანხმებას უზრუნველყოფს „მოიჯარე“ საკუთარი ხარჯით;

2.4.4. არ ჩაერიოს **,,მოიჯარე''-ს** საქმიანობაში.

2.4.5. უზრუნველყოს ,,მოიჯარის'' მიერ იჯარის ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

2.4.6. „მოიჯარის“ ბრალისგან დამოუკიდებლად საიჯარო ქონების დაზიანების **ან/და** განადგურების შემთხვევაში, რომელიც ხელს შეუშლის „მოიჯარეს“ იჯარის საგნის **ამ** ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებაში, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ქონების ექსპლუატირებად მდგომარეობაში მოყვანა და აანაზღაუროს აღნიშნულ პერიოდში, იჯარის საგნით სარგებლობის შეუძლებლობით „მოიჯარისთვის“ მიყენებული ზიანი; ამასთან, გაუმართაობის პერიოდში „მოიჯარე თავისუფლდება საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებისაგან.

2.4.7. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საიჯარო ქონებაზე „მოიჯარის“ მიერ განთავსებული სარეკლამო ბანერის დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება იჯარის ობიექტის - კონსტრუქციის გაუმართაობის/დაზიანების გამო, უზრუნველყოს „მოიჯარისთვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება, „მოიჯარის“ მხრიდან ბანერის დამზადებისთვის გაწეული ხარჯის შესაბამისად.

2.4.8. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტში გათვალისწინებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, კერძოდ, ქარით გამოწვეული ზიანისას, რომლის სიჩქარე

უტოლდება ან აღემატება 16მ/წმ-ს და რაც გამოიწვევს კონსტრუქციის გაუმართაობას და ზიანს, „მეიჯარე“ ვალდებულია დაუყოვნებლივ მოაწესრიგოს/აღმოფხვრას პრობლება (ზიანი). პრობლემის აღმოსაფხვრელად გაწეულ ხარჯებს დაფარავს „მეიჯარე“. „მოიჯარის“ მიერ განთავსებული ბანერის გამო ქარით გამოწვეული ზიანისას კი, ზიანს აანაზღაურებს „მოიჯარე“

3. საიჯარო ქირა და მისი გადახდის წესი

3.1.„იჯარის საგნის“ სარგებლობისათვის განკუთვნილი ყოველთვიური საიჯარო ქირა, რომელიც „მოიჯარემ“ „მეიჯარეს“ უნდა გადაუხადოს, შეადგენს **1700 (ათას შვიდასი)** აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. „მხარეთა“ შეთანხმებით მოიჯარე გადაიხდის პირველი და ბოლო თვის საიჯარო ქირას ხელშეკრულბის 5.1. პუნქტში განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერისთანავე.

3.2. „მხარეთა“ შეთანხმებით **„მოიჯარის“** მიერ საიჯარო ქირის გადახდა განხორციელდება ხელშეკრულბის 5.1. პუნქტში განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის თარიღის შესაბამისად, ყოველთვიურად, არაუგვიანეს **მიღება-ჩაბარებით შეთანხმებული** რიცხვისა.

3.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ მოხდება საიჯარო ქირის ოდენობის გადახედვა და ახალი ხელშეკრულების გაფორმება.

3.5. ხელშეკრულების **3.1.** პუნქტით განსაზღვრული საიჯარო თანხის გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგ საბანკო ანგარიშზე: **GE05TB7732136050100002 , თიბისი ბანკი.**

4. პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვევმა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

4.2. „მოიჯარე“ პასუხს აგებს საიჯარო ქირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადახდაზე.

4.3. „მოიჯარის“ დაუდევრობითა და ბრალეულობით გამოწვეული ზიანი, რომელიც იჯარის საგნის დაზიანებას/განადგურებას/ხელყოფას გამოიწვევს, ან მესამე პირს მიაყენებს ზიანს, სრულად ანაზღაურდება **„მოიჯარის“** მიერ.

4.4. „მოიჯარის“ ბრალისგან დამოუკიდებლად გამოწვეული ზიანი, რომელიც იჯარის საგნის დაზიანებას/განადგურებას/ხელყოფას გამოიწვევს, ან მესამე პირს მიაყენებს ზიანს, სრულად ანაზღაურდება **„მეიჯარის“** მიერ.

4.5. მხარეები ვალდებულებას იღებენ დაუყონებლივ მიაწოდონ ერთმანეთს ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნიშნულ საიჯარო ურთიერთობებზე, კერძოდ აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი უფლებრივი თუ სხვა სახის რისკების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქონების განადგურება, დაზიანება, სანივთო ან/და სხვა უფლებებით დატვირთვა, გასხვისება ან/და სხვაგვარი შედეგი რაც შეუძლებელს გახდის ან/და გაართულებს იჯარის ობიექტით სარგებლობას.

4.6. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში **„მეიჯარე“** უფლებამოსილია მოსთხოვოს **„მოიჯარეს“** პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ერთი თვის საიჯარო ქირის **0.5%**-ის ოდენობით.

4.7. მოიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვიტისას მას დაეკისრება ორი თვის საიჯარო ქირის გადახდა მეიჯარისათვის.

4.8. მეიჯარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მას წარმოეშობა ვალდებულება გადაუხადოს ორი თვის საიჯარო ქირა მოიჯარეს და ასევე, აანაზღაუროს მოიჯარის მიერ გაწეული სარეკლამო ბანერის დამზადებისა და მონტაჟის ხარჯი;

5. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტის წესი

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შევა იჯარის ობიექტზე ბანერის განთავსების დროის და კონკრეტული თარიღის განსაზღვრა მოხდება სარეკლამო ბანერის განთავსების დღეს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე; იჯარის ობიექტზე ბანერის განთავსების და ხელშეკრულების ვადის ათვლის დაწყების მაქსიმალურ ვადას წარმოადგენს - 2024 წლის **31** აგვისტო;

5.2. ხელშეკრულება მოქმედებს მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან **ერთი წლის ვადით.**

5.3 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს შემდეგი საფუძვლებით:

5.3.1 ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ;

5.3.2. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის გამო;

5.3.3. მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთანხმების შედეგად;

5.4. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეებმა ერთმანეთს წერილობით **უნდა** აცნობონ ხელშეკრულების შეწყვეტამდე არანაკლებ 30(ოცდაათი) კალენდარული დღით **ადრე.**

5.5. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე არსებული შეუსრულებელი ვალდებულებების შესრულებისგან.

6. ფორს-მაჟორული გარემოება

6.1. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობს ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს **არ** შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ. წინამდებარე "ხელშეკრულებაში" გამოყენებული მნიშვნელობით, ტერმინი "ფორს-მაჟორული გარემოება" გულისხმობს შემდეგი გარემოების არსებობას (რომელიც უშუალო ზეგავლენას უნდა ახდენდეს შესაბამისი "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებაზე):

(ა) წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარი (16 მ/წმ და მეტი), აფეთქებები, ხანძარი, ავარია, სამხედრო მოქმედებები, აჯანყებები, სამოქალაქო ომები, ბლოკადა, გაფიცვები და **სხვა** გარემოებები ;

(ბ) "მხარეთა" კონტროლს დაუქვემდებარებელი ნებისმიერი სხვა გარემოება. ამასთან, ეს გარემოებები მხოლოდ მაშინ მიიჩნევა "ფორს-მაჟორულ გარემოებად", თუ ისინი პირდაპირ გავლენას ახდენენ "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2. "იჯარის საგანთან" ან მის მნიშვნელოვან ნაწილთან დაკავშირებული "ფორს-მაჟორული გარემოების" დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს რომელიმე "მხარის" მიერ **მისი** ვალდებულების შესრულების, ან უფლების განხორციელების შეუძლებლობას, "მხარე", რომელიც ვერ ასრულებს "ხელშეკრულებით" ნაკისრ ვალდებულებას "ფორს-მაჟორული გარემოების" ზემოქმედების გამო, ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომისთანავე, გონივრულ ვადაში აცნობოს სხვა "მხარეებს" "ფორს-მაჟორული გარემოების" დადგომის თაობაზე და ასეთ შემთხვევაში, მის მიერ ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიწევს

"ფორს-მაჟორული გარემოების" მოქმედების ვადით. "ფორს-მაჟორული გარემოების" არსებობის და ამის გამო "იჯარის საგნის" გამოყენების შეუძლებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში "საიჯარო ქირა" (ან "საიჯარო ქირის" შესაბამისი ნაწილი, თუკი "ფორს-მაჟორული გარემოება" ეხება მხოლოდ "იჯარის საგნის" რომელიმე ნაწილს) არ გადაიხდება. "საიჯარო ქირის" გადახდა უნდა აღდგეს "იჯარის საგნის" (ან მისი ნაწილის) მიმართ მოქმედი "ფორს-მაჟორული გარემოების" შეწყვეტის თარიღიდან.

6.3. ფორს–მაჟორული გარემოების არსებობა უნდა დადასტურდეს უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

6.4. თუ "ფორს-მაჟორული გარემოების" ზემოქმედება გრძელდება 1 (ერთ) თვეზე მეტ ხანს, "მოიჯარე" უფლებამოსილია შეწყვიტოს "ხელშეკრულება" მთლიანად "იჯარის საგანთან" ან მის ნაწილთან მიმართებაში.

7. ინფორმაცია და კონფინდეციალურობა

7.1. მხარეები ვალდებულნი არიან მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვისა და კონფინდეციალურობის დაცვით გამოიყენონ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ერთმანეთს შორის გაცვლილი/გადაცემული ნებისმიერი ინფორმაცია ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ მეორე მხარეს.

7.2. მხარეები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ამ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვა და აღნიშნული კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე მხარისათვის გადაცემა განახორციელონ მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ერთმანეთისათვის წინასწარი შეტყობინებისა და შესაბამისი მხარისაგან(ინფორმაციის გადამცემი მხარე) ხელშეკრულების შესაბამისად თანხმობის მოპოვების გზით.

7.3. ინფორმაციის მიმღები მხარე კონფიდენციალურ ინფორმაციას წარუდგენს მესამე მხარეს მხოლოდ გამცემი მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

7.4. ინფორმაციის მიმღები მხარე უფლებამოსილია სახელმწიფო ორგანოებს წარუდგინოს კონფიდენციალური ინფორმაცია გამცემი მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონკრეტულ შემთხვევებში სათანადოდ გაფორმებული ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მიმღები მხარე შეატყობინებს გამცემ მხარეს ინფორმაციის მოთხოვნის მიღებიდან 1(ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მისი შინაარსისა და გადასაცემი კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ.

8. ხელშეკრულების შეცვლა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებისა და ნების გამოვლენის შედეგია. მას ენიჭება უპირატესობა მხარეებს შორის ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებულ, როგორც წერილობით, ისე ზეპირ წინადადებებთან, მოლაპარაკებებთან და შეთანხმებებთან შედარებით.

8.2. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ იგი გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ.

9. დავის გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეებს შორის არსებული დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. თუ მოლაპარაკების შედეგად შეთანხმება არ იქნა მიღწეული, დავას განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

9.2. იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმებით.

10. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

10.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ქონებასთან დაკავშირებით ყველა შეთანხმება, რომელიც მხარეთა შორის იყო გაფორმებული მანამდე ძალას კარგავს ამ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება მხოლოდ მხარეთა ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.

10.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პუნქტის შეცვლა, გაუქმება ან შეწყვეტა გავლენას არ იქონიებს მხარეების მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულებაზე.

10.4. წინამდებარე ხელშეკრულების თითოეული მუხლი, პუნქტი მათ შორის თითოეული დანართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ხელმოწერის შემდეგ ერთი ეგზემპლარი გადაეცემა **„მოიჯარეს“**, მეორე გადაეცემა **„მეიჯარეს“**.

11. მხარეთა რეკვიზიტები

„მეიჯარე“	„მოიჯარე“
შპს „ლევანიტა“	შპს „ნექსუს ჰოლდინგი“
ს/კ: 404591740	ს/კ 405661564
მისამართი: ქ.თბილისი,ზვიად გამსახურდიას სანაპიროს 106	მისამართი: ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ნინო ჭყვანიას ქ., N 28
ელ. ფოსტა: legal@marshalldevelopment.ge	ელ. ფოსტა: info@ng.ge
საბანკო რეკვიზიტები: GE05TB7732136050100002	
ხელმომწერი პირი: მიხეილ ხიდირბეგიშვილი	ხელმომწერი პირი: თორნიკე წილოსანი